ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება

მუხლი 1. ზოგადი ნაწილი

1.1. თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (შემდგომში სამსახური) იქმნება საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო კურსების პროგრამების, სასწავლო/პედაგოგიური, სამეცნიერო/შემოქმედებითი მუშაობის, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხის სისტემატური შეფასების და სახელოვნებო სფეროს საგანმანათლებლო უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში სწავლების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვისა და განხორციელების მიზნით.

1.2. სამსახური წარმოადგენს სამხატვრო აკადემიის მართვის ერთ-ერთ ორგანოს. იგი თავისი კომპეტენციის ფარგლებში მმართველობის განსახორციელებლად ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“, მოქმედი კანონმდებლობის, საერთაშორისო ხელშეკრულებების, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, უნივერსიტეტის წესდების, ბრძანებების, გადაწყვეტილებების და ამ დებულების საფუძველზე.

1.3. სამსახური ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოს წინაშე.

1.4. სამსახური უზრუნველყოფს სწავლების ხარისხს, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული სისტემა, მოდულები, საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსები და ა.შ.) დანერგვის გზით, აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესისათვის ამზადებს თვითშეფასებას თსსა ფაკულტეტებთან და სამსახურებთან თანამშრომლობით.

1.5. სამსახური მჭიდროდ უკავშირდება და თანამშრომლობს როგორც საქართველოს, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის სამსახურებს და თანამშრომლობს მათთან ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმების და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის შესაქმნელად.

1.6. სამსახურის ხელმძღვანელს ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო აკადემიური საბჭოს წარდგინებით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი უნდა იყოს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის წევრი – პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.

მუხლი 2. სამსახურის საქმიანობის სფერო

2.1. სამსახური არის ხარისხიანი სწავლების სფეროში უნივერსიტეტში ერთიანი პოლიტიკის გამტარებელი ორგანო. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სამსახური ახორციელებს მის დაქვემდებარებაში მყოფი ყოველი რგოლის საქმიანობის კოორდინაციასა და კონტროლს, უზრუნველყოფს სასწავლებელში სწავლების ხარისხის სრულყოფას, სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვას და შესაბამისი რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავებას.

2.2. სამსახურის საქმიანობის სფეროს მიეკუთვნება სამხატვრო აკადემიის სასწავლო პროცესის ხარისხის სისტემატური შეფასება,. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა

და პროცედურების შემუშავება, აგრეთვე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების კოორდინაცია.

2.3. სახელოვნებო/შემოქმედებითიუმაღლესი განათლების ინტეგრაცია თანამედროვე შემოქმედებით პროცესებსა და მეცნიერებასთან.

2.4. სასწავლო პროცესის თეორიული, მეთოდური და პრაქტიკული პრობლემების შესწავლა და მათი გადაწყვეტის ხელშეწყობა.

2.5. სასწავლო-შემოქმედებითი სამუშაოების და სასწავლო პროცესის ხარისხის განმსაზღვრელი თანამედროვე კრიტერიუმების დამუშავება და მათი დანერგვა.

2.6. სამხატვრო აკადემიის სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მუდმივი მონიტორინგი.

2.7. საგანმანათლებლო და სასწავლო პროგრამების, კურიკულუმების, მუდმივი სრულყოფის კოორდინაცია.

2.8. სამხატვრო აკადემიის აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ტრენინგების და სემინარების ჩატარება, მათ შორის უცხოეთიდან მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მოწვევა და ადგილობრივი კადრების უცხოეთში სტაჟირება, გაცვლითი პროგრამების გამოყენება.

2.9. პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა გამოფენების, სამეცნიერო კონფერენციების და კონკურსების ორგანიზება.

2.10. აკადემიაში სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და მეთოდური საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შემუშავება.

2.11. სასწავლო პროცესის შეფასების უწყვეტი სისტემის მეთოდური უზრუნველყოფა, ორგანიზება და კონტროლი. აკრედიტაციისდა ავტორიზაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადება.

2.12. თსსა შემოქმედებითი ტურის დებულების მომზადება და აკადემიურ საბჭოზე დამტკიცება.

2.13. სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ხარისხის შემოწმებისა და ლექტორთა რეიტინგის განსაზღვრის მიზნით სტუდენტთა გამოკითხვის ჩატარება.

2.14. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი დოკუმენტაციის შემუშავების პროცესში მონაწილეობა.

2.15. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით სხვადასხვა სპეციალობების დარგობრივი მახასიათებლების შემუშავების პროცესში მონაწილეობა.

2.16. თსსა აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართვა ხარისხის უზრუნველყოფის უწყვეტ სისტემაში.

2.17. სამხატვრო აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისათვის აუცილებელი მასალების მომზადება.

მუხლი 3. სამსახურის ძირითადი ამოცანები და კომპეტენცია

მოქმედი კანონდებლობით და სამხატვრო აკადემიის წესდებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში სამსახური:

3.1. უზრუნველყოფს ხარისხიანი განათლების მიღებას.

3.2. გეგმავს სასწავლო-შემოქმედებითი პროცესის შემდგომი განვითარების მიმართულებებს, ახდენს მისი განვითარების პროგნოზირებას.

3.3. სამხატვრო აკადემიის წესდებით განსაზღვრული წესით ორგანიზებას უწევს საგანმანათლებლო პროგრამებისა და საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავებას და წარუდგენს დასამტკიცებლად სამხატვრო აკადემიის აკადემიურ საბჭოს.

3.4. სახელოვნებო უმაღლესი განათლების მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეში ჰარმონიზაციისა და ინტეგრაციის მიზნით სამსახური თანამშრომლობს ამ სფეროში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის სასწავლო დაწესებულებებთან.

3.5. თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს და აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს შიდა ნორმატიულ დოკუმენტაციას.

3.6. შეიმუშავებს საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო კურსების პროგრამების (სიალაბუსების) შეფასების ფორმებს და დასამტკიცებლად წარუდგენს მათ თსსა აკადემიურ საბჭოს.

3.7. სასწავლო პროცესის, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის შემოწმების მიზნით შეიმუშავებს პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის ფორმებს, დასამტკიცებლად წარუდგენს მათ თსსა აკადემიურ საბჭოს და კოორდინაციას უწევს გამოკითხვის ჩატარების სისტემატურობას.

3.8. კოორდინაციას უწევს გამოკითხვის შედეგების ანალიზს და საგანმანათლებლო პროგრამებში ანალიზის შედეგების ადეკვატურ ასახვას.

3.9. ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდულ ექსპერტიზას ქართველ და უცხოელ ექსპერტებთან თანამშრომლობით.

3.10. თანამშრომლობს საქართველოსა და უცხოეთის სახელოვნებო უმაღლესი სასწავლებლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან შესაბამისი მეთოდოლოგიისა და ხარისხის შეფასების თანამედროვე კრიტერიუმების ჩამოყალიბების და დანერგვის მიზნით.

3.11. ორგანიზებას უწევს პედაგოგიური კადრების შესარჩევ კონკურსს, ფაკულტეტებთან თანამშრომლობით ადგენს კანდიდატთა მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს, რომლებსაც ფაკულტეტების საბჭოები შეიმუშავებენ.

3.12. კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ არსებული ინფორმაციის ანალიზის შედეგებს იყენებს სასწავლო პროგრამების მოდიფიკაციის პროცესში.

3.13. ატარებს დამსაქმებელთა გამოკითხვებს და მოპოვებულ ინფორმაციას აცნობს თსსა ფაკულტეტებს სასწავლო პროცესის და სასწავლო პროგრამების უკეთ დაგეგმვის მიზნით.

3.14. მონაწილეობს სახელოვნებო, განათლებისა და მეცნიერების სფეროში სამეცნიერო კონფერენციების, სიმპოზიუმების, გამოფენებისა და კონკურსების ჩატარებაში.

3.15. ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა ფუნქციებს.

მუხლი 4. სამსახურის სტრუქტურა

4.1 სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი. სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას რექტორის ბრძანების საფუძველზე ასრულებს სამსახურის სხვა თანამშრომელი. სამსახურს საშტატო განრიგით განსაზღვრული აქვს კოორდინატორის 2 საშტატო ერთეული.

4.2 მეთოდურად დაქვემდებარებულ სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც დამაკავშირებელი რგოლია სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და ფაკულტეტს შორის. იგი უზრუნველყოფს სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის გადაწყვეტილებათა ფაკულტეტზე განხორციელებას და მონიტორინგს.

4.3 ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შეიძლება იყოს ფაკულტეტის საბჭოს წევრი პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი

4.5. ურთიერთობა სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს შორის რეგულირდება სამხატვრო აკადემიის წესდებით, შინაგანაწესით, ფაკულტეტის დებულებით და ამ დებულებით.

მუხლი 5. სამსახურის ფუნქციები

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:

5.1. უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით განსაზღვრული ყველა ამოცანის შესრულებას.

5.2. წარმართავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობას, შეიმუშავებს სამსახურის საქმიანობის პერსპექტიულ და მიმდინარე გეგმებს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს, ხელს აწერს ოფიციალურ დოკუმენტებზე.

5.3. უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას.

5.4. უზრუნველყოფს სასწავლო-მეთოდური სახელმძღვანელოებისა და სამეცნიერო ნაშრომების ექსპერტიზას.

5.5. უზრუნველყოფს მისაღები კონტინგენტის პროფესიულ ორიენტაციასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარებას.

5.6. უზრუნველყოფს სამსახურის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციების განაწილებას.

5.7. უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის წლიური დატვირთვის ბადის შემუშავებას ფაკულტეტების საბჭოებთან ერთად და წარუდგენს მას სამხატვრო აკადემიის აკადემიურ საბჭოს

5.8. უზრუნველყოფს სასწავლო-შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის სამუშაოების პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრას,. სამეცნიერო (საეთაშორისო, ადგილობრივი, სამეცნიერო-პრაქტიკული) კონფერენციების, დისკუსიების, მრგვალი მაგიდების ორგანიზებას, სახელმძღვანელოების, რეფერირებული ჟურნალის და დამხმარე ლიტერატურის დამუშავებისა და გამოცემის კოორდინირებას.

5.9. უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში პროგრამის ათვისების შეფასების კრიტერიუმების დადგენას. კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის ძირითადი პარამეტრების შესრულების მონიტორინგს. კრედიტების განაწილების მართებულობის რეგულარულ შემოწმებას

5.10. წარმართავს საგანმანათლებლო და სასწავლო პროგრამების მუდმივი სრულყოფის კოორდინაციას.

5.11. თანამშრომლობს სხვადასხვა ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებთან და სამეცნიერო დაწესებულებებთან ერთობლივი პროექტების განხორციელების მიზნით.

მუხლი 6. დასკვნითი ნაწილი

ამ დებულების ძალადაკარგულად გამოცხადება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის წესდების შესაბამისად.